მასწავლე საქმე, რომელსაც თუ გავაკეთებ, სამოთხეში შევალ." მოციქულმა უპასუხა: «ეთაყვანე ალლაჰს და არ დაუდგინო მას თანაზიარი, აღასრულე სავალდებულო ლოცვები, გადაიხადე დაწესებული ზაქათი და იმარხულე რამადანი». ბედუინმა განაცხადა

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი: «ერთხელ ერთი ბედუინი მივიდა მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და ჰკითხა: "მასწავლე საქმე, რომელსაც თუ გავაკეთებ, სამოთხეში შევალ." მოციქულმა უპასუხა: «ეთაყვანე ალლაჰს და არ დაუდგინო მას თანაზიარი, აღასრულე სავალდებულო ლოცვები, გადაიხადე დაწესებული ზაქათი და იმარხულე რამადანი». ბედუინმა განაცხადა: "ვფიცავ იმას, ვის ხელშიც ჩემი სულია, ამას არაფერს დავუმატებ." როდესაც ის წავიდა, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვისაც სურს შეხედოს სამოთხის მაცხოვრებელ ადამიანს, დაე, შეხედოს ამ კაცს».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ერთ-ერთი ბედუინი მოვიდა მოციქულთნ (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რათა მას მიეთითა იმ საქმეზე, რომელიც სამოთხეში შეიყვანდა. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა, რომ სამოთხეში შესვლა და ჯოჯოხეთისგან გადარჩენა დამოკიდებულია ისლამის სვეტების შესრულებაზე, რაც მოიცავს მხოლოდ ერთ ალლაჰზე თაყვანისცემას და მასთან თანაზიარად არაფრის დაყენებას, ხუთი სავალდებულო ლოცვის შესრულებას, რომლებიც ალლაჰმა მის მონებს დაავალდებულა დღე-ღამის განმავლობაში. ქონების ზაქათის გადახდას, რომელიც ალლაჰმა შენზე დააკისრა, და მისი გადაცემა იმათთვის, ვინც მას იმსახურებს. და რამადანის თვის მარხვის დაცვას მის დროზე. ამ კაცმა თქვა: ვფიცავ იმას, ვის ხელშიც ჩემი სულია, არ დავუმატებ იმ სავალდებულო საქმეებს, რაც შენგან მოვისმინე, და არც დავაკლებ მას. და როცა ის წავიდა მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: ვისაც სურს, რომ შეხედოს სამოთხის მაცხოვრებელ ადამიანს, დაე, შეხედოს ამ ბედუინს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3689